ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N26

2018 წლის 21 თებერვალი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვაში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 70,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ 20.45.01.032) 2 (ორი) წლის ვადით უსასყიდლოდ ოფისის მოწყობის მიზნით (მ.რომანაძე);

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვაში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 70,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი ნ.თხილაიშვილი